

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 30 დეკემბრის =72 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 30 დეკემბრის =72 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. სამშენებლო ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სუბსიდიის მუხლიდან 165 965 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში; ხოლო წარმომადგენლობითი ხარჯების, მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯებიდან 1 000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების მუხლში;

2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სუბსიდიის მუხლიდან 38 000 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში; სხვა ხარჯების სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების მუხლში გადატანილ იქნეს 1 200 ლარი; ბუნებრივი აირის ხარჯების მუხლში გადატანილ იქნეს 20 000 ლარი; არაფინანსური აქტივების, კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლში გადატანილ იქნეს 23 235 ლარი;

3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სუბსიდიის მუხლიდან 542 ლარი გადატანილ იქნეს ელექტრო ენერჯის ხარჯების მუხლში; სხვა ხარჯების სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების მუხლში (მოსაკრებელი) გადატანილ იქნეს 328 ლარი; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების მუხლში გადატანილ იქნეს 700 ლარი; პრემიის მუხლში გადატანილ იქნეს 150 016 ლარი;

4. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სუბსიდიის მუხლიდან 1 000 ლარი გადატანილ იქნეს კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების მუხლში; ხოლო პრემიის მუხლში გადატანილ იქნეს 221 974 ლარი;

5. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 1 000 ლარი გადატანილ იქნეს კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების მუხლში; ხოლო პრემიის მუხლში გადატანილ იქნეს 480 000 ლარი;

6. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 1 250 ლარი გადატანილ იქნეს იჯარისა და ქირის ხარჯების მუხლში; ხოლო კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯების მუხლში გადატანილ იქნეს 2 000 ლარი, ხოლო პრემიის მუხლში გადატანილ იქნეს 100 000 ლარი;

7. დიზაინის საერთაშორისო სკოლის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 10 021 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში. ასევე, საოფისე ტექნიკის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯებიდან 6 800 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში, ხოლო იგივე მუხლიდან კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯების მუხლში გადატანილ იქნეს 500 ლარი;

8. აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლის სამეცნიერო ხარჯებიდან 1 000 ლარი გადატანილ იქნეს იმავე მუხლის კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ხარჯების მუხლში;

9. აიოვას უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან და ხარჯთაღრიცხვიდან გამომდინარე, აღნიშნული პროექტის ხარჯთაღრიცხვაში განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 36 690 ლარი; მივლინების მუხლიდან 12 920 ლარი; წარმომადგენლობითი ხარჯებიდან 15 790 ლარი და სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების მუხლიდან 128 150 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლში;

10. სტუ-ს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 1 590 ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან - 290 ლარი; ელექტრო ენერჯის ხარჯებიდან 1 800 ლარი; საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯებიდან 500 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში; ხოლო ელექტრო ენერჯის ხარჯებიდან 530 ლარი გადატანილ იქნეს წყლის ხარჯების მუხლში;

11. სტუ-ს 2014 წლის დამტკიცებულ ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია 2014 წლის 17 დეკემბერს სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა“ და სსიპ საქართველოს ტექნიკურ

უნივერსიტეტს შორის გაფორმებული შეთანხმების №01/162-89-2 საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს 2013 წლის 30 დეკემბრის №01/162-89 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შეთანხმების მე-2 პუნქტის ბ. ქვეპუნქტის საფუძველზე, ქ. თბილისში გურამიშვილის ქ. №17 მდებარე შენობის მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში მიღებული ეკონომია 935 169 ლარი მიიმართოს აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტისათვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტის „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში“ დაფინანსების ხარჯთაღრიცხვაში, არაფინანსური აქტივების, არასაცხოვრებელი შენობების მუხლიდან 935 169 ლარი გადატანილ იქნეს სხვა მანქანა-დანადგარების, კომპიუტერული ტექნიკის შეძენის მუხლში;

12. 2014 წლის 17 დეკემბრის ხელშეკრულება №01/162-452, რომელიც გაფორმებულია სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა“ და სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის, ითვალისწინებს 2014 წლის ასიგნებების ფარგლებში, სტუ-ს ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტისა და სტუ-ს ბირთვული ინჟინერიის ცენტრის განთავსების მიზნით, ქ. თბილისში გ. ფერაძის ქ. №4-ში არსებული შენობის რეაბილიტაციის მიზნით დაფინანსებას. სახელშეკრულებო თანხის (3 625 952 ლარი) 80%, რაც შეადგენს - 2 900 761 ლარს, უკვე ჩარიცხულია სტუ-ს ანგარიშზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 2 900 761 ლარით, ხოლო ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს ნაერთი ბიუჯეტის მე-5 პროგრამით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის არაფინანსური აქტივების, არასაცხოვრებელი შენობების მუხლში.

13. ასევე, ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ:

დანამატის მუხლიდან 72 148 ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 105 967 ლარი; ოფისის ხარჯების საკანცელარიო ხარჯებიდან 101 ლარი; კომპიუტერული პროგრამების შეძენა-განახლების ხარჯებიდან 1 790 ლარი; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის შეძენის ხარჯებიდან 3 007 ლარი; საოფისე ტექნიკის შეძენა-დამონტაჟების ხარჯებიდან 638 ლარი; შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 40 002 ლარი; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა/დანადგარების მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯებიდან 2 108 ლარი; კავშირგაბმულობის ხარჯებიდან 6 245 ლარი; წყლის ხარჯებიდან 52 583 ლარი; ბუნებრივი აირის ხარჯებიდან

17 018 ლარი; სამედიცინო ხარჯებიდან 375 ლარი; რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯებიდან 3 366 ლარი; საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯებიდან 9 067 ლარი; სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტისა და მოვლა-შენახვის ხარჯებიდან 4 928 ლარი; ტრანსპორტის დაქირავება, გადაყვანა/გადაზიდვის ხარჯებიდან 1 600 ლარი; ექსპერტიზისა და შემოწმების ხარჯებიდან 2 576 ლარი; კადრების მომზადება/გადამზადების ხარჯებიდან 66 ლარი; რეკლამის ხარჯებიდან 335 ლარი; სესიების, კონფერენციების ორგანიზების ხარჯებიდან 960 ლარი; აუდიტის მომსახურების ხარჯებიდან 500 ლარი; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯებიდან 105 ლარი; ორდენების, სიგელების, სუვენირების შეძენის ხარჯებიდან 370 ლარი; ტენდერის ხარჯებიდან 1 450 ლარი; შენობების პასპორტიზაციის ხარჯებიდან 1 715 ლარი; სუბსიდიის მუხლიდან 5 618 ლარი; სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯებიდან 4 142 ლარი; სასამართლოებისა და კვაზი სასამართლოების ხარჯებიდან 4 456 ლარი; ქონების დაზღვევის გადასახადიდან 3 342 ლარი; მიწის გადასახადიდან 2 900 ლარი; სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული 3 858 ლარი; სხვა არამატერიალური აქტივებიდან 3 980 ლარი; ნედლეული და მასალებიდან 617 296 ლარი; სულ ჯამში 374 612 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში.

ასევე, კავშირგაბმულობის ხარჯებიდან 400 ლარი გადატანილ იქნეს საფოსტო მომსახურების ხარჯების მუხლში, ხოლო 1 710 ლარი გადატანილ იქნეს ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის მუხლში; სუბსიდიის მუხლიდან 12 000 ლარი გადატანილ იქნეს ელ. მოწყობილობების შეძენის მუხლში, ხოლო იგივე მუხლიდან 5 102 ლარი გადატანილ იქნეს კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლში;

14. განხორციელდეს ცვლილებები, როგორც საშემოსავლო, ასევე ხარჯვით ნაწილში, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ხარჯთაღრიცხვაში, რაც გამოწვეულია მიმდინარე წელს ფაქტობრივად მიღებული შემოსავლებიდან და საჭიროებს დაზუსტებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ხარჯთაღრიცხვაში (ცენტრებიდან) შემოსავალი გაიზარდოს 283 400 ლარით და განისაზღვროს 2 299 000 ლარით. შესაბამისად, გაიზარდოს ნაერთი ბიუჯეტი, ხოლო ხარჯვით ნაწილში 283 400 ლარი გაიწეროს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში.

ასევე, გაიზარდოს ეკონომიკური საქმიანობის დეპოზიტიდან შემოსავლების გრაფა 30 000 ლარით, ხოლო ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში. სულ ბიუჯეტი გაიზარდოს 313 400 ლარით.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 30 დეკემბრის =72 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 30 დეკემბრის =72 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ (სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტისა და ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანების თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის თაობაზე).

სენატმა დაადგინა:

1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის საშტატო განრიგში განხორციელდეს ცვლილება და დეკანის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 2 640 ლარის ოდენობით. განსხვავების ანაზღაურება განხორციელდეს მიმდინარე წლის ნოემბრიდან.
2. ასევე, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის საშტატო განრიგში განხორციელდეს ცვლილება და დეკანის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 2 640 ლარის ოდენობით. განსხვავების ანაზღაურება განხორციელდეს სექტემბრიდან.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 30 დეკემბრის =72 სხდომის

დ ა დ ბ ე მ ნ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 30 დეკემბრის =72 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პერსონალის მივლინების წესსა და სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პრემიისა და ფინანსური დახმარების გაცემის წესში შეტასანი ცვლილებების შესახებ.

სენატმა დაადგინა: სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პერსონალის მივლინების წესსა და სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პრემიისა და ფინანსური დახმარების გაცემის წესში შევიდეს ცვლილებები წარმოდგენილი სახით.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 30 დეკემბრის =72 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 30 დეკემბრის =72 სხდომაზე სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის მენეჯერმა, პროფ. გინა გურეშიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის ზოგიერთი სტუდენტის სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით.

სენატმა დაადგინა: მიეცეს თანხმობა სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის მენეჯერს სტუდენტებისთვის გაავრცელოს შეღავათები სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით წარმოდგენილი სიის თანახმად.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 30 დეკემბრის =72 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 30 დეკემბრის =72 სხდომაზე სტუ-ის სენატის სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის აკადემიური საბჭოსა და სენატის წევრებისათვის პრემიის გამოყოფის შესახებ.

სენატმა დაადგინა: ვითვალისწინებთ რა, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და სენატის წევრთა მიერ 2014 წელს გაწეულ იმ სამუშაოს მოცულობას, რომელიც მათი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოების შესრულებასთან არ არის დაკავშირებული, ასევე, მათ განსაკუთრებულ კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას დაკისრებული მოვალეობების შესრულებისადმი, ახალი წლის დღესასწაულის დადგომასთან დაკავშირებით, ვშუამდგომლობთ უნივერსიტეტის რექტორატის წინაშე, რომ აკადემიური საბჭოსა და სენატის წევრებს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ბიუჯეტიდან გამოეყოთ პრემია ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს მოცულობით, ხოლო აკადემიური საბჭოს მთავარ სპეციალისტს, ქალბატონ მ. ფაშტიანსა და სენატის სპიკერის თანაშემწეს, ქალბატონ ს. მიდელაშვილს – 625 ლარის ოდენობით თითოეულს.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე